

შპს BEST CARS

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „BEST CARS“-ის („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2025 წლის 22 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „BEST CARS“-ს საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

ორგანიზაცია შპს „BEST CARS“-ს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 401955443, რეგისტრაციის თარიღი 16/02/2011. იურიდიული მისამართი- საქართველო, საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანი-დიდმის შემაერთებელ გზაზე „მინდელის ხიდის“ მიმდებარედ, მეტროს დეპოში შემავალი გვირაბის თავზე, (ნაკვეთი N28/31)

კომპანიის დამფუძნებლები:

თეა ჩხეიძე, 09001022020 - 20%

კონსტანტინე ჩხეიძე, 09001001374 - 40%

კობა ჩხეიძე, 09001002622- 40%

დირექტორი კონსტანტინე ჩხეიძე პ/ნ 09001001374

კომპანიის ძირითადი საქმიანობა დაფუძნების დღიდან 2021 წლამდე იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი და რეექსპორტი. 2021 წლიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მსუბუქი ავტომობილების მაკომპლექტებელი ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საცალოდ (ძირითადად) ასევე საბითუმოდ.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ო ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs) მოთხოვნებისა და პრინციპების შესაბამისად. სტანდარტის გამოყენება უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლების და ხარჯების სამართლიან, სანდო და გამჭვირვალე წარმოდგენას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. ანგარიშგებაში გათვალისწინებულია საბუღალტრო პოლიტიკის კონსისტენტური გამოყენება, გონივრული შეფასებები და მართებული განსაზღვრებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და ობიექტურობა.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ნაღდ ფულს, დებიტორებს (გაყიდვები კრედიტზე), ბანკის დეპოზიტებს და სხვა კონტრაქტით განსაზღვრულ უფლებებს ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიღებაზე. ფინანსური აქტივები აღირიცხება შეძენის ღირებულებით (**transaction price / სამართლიანი ღირებულება – fair value**), ხოლო შემდგომი აღრიცხვა ხდება დაგროვებული თვითღირებულებით (**amortised cost**) ან სამართლიანი ღირებულებით (**fair value**), აქტივის ტიპისა და გამოყენების მიზნის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, კრედიტორებს, ბონდის ვალდებულებებსა და სხვა კონტრაქტით განსაზღვრულ ვალდებულებებს ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადახდაზე. ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება მოწოდების ღირებულებაზე (**transaction price / fair value**), ხოლო

შემდგომი აღრიცხვა ხდება დაგროვებული თვითღირებულებით (**amortised cost**), რაც მოიცავს პროცენტებისა და გადახდების შესაბამის აღრიცხვას.

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალდებულო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ავდის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის

ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2022-2024 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციაზე ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში.

უცხოურ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საანგარიშო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2024	2023	2022
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	83,600.9	31961.6	313518.2
სავაჭრო მოთხოვნები	2	10,133.8	12926.3	8638.8
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	112,774.7	117183.5	124600.1
მარაგები	4	1,563,748.8	2212239.5	1653384.1
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	19,080.5	31484.4	13431.3
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,789,338.7	2405795.4	2113572.4
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	42,361.3	56,226.14	35703.6
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,361.3	56,226.1	35703.6
სულ აქტივები		1,831,700.0	2,462,021.5	2149276.1
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	293,726.3	595,913.3	357,156.8
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადი ვალდებულებები	8			
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
სხვა ვალდებულებები	9	5,540.0	3,568.1	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		299,266.3	599,481.40	357,157
სულ ვალდებულებები		299,266.3	599,481	357,157
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	10	273,250.1	273,250.1	536,556.3
		1,259,183.6	1,589,290.2	1,255,563.0
სულ საკუთარი კაპიტალი		1,532,433.7	1,862,540	1,792,119
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,831,700.0	2,462,021.8	2,149,276

შპს BEST CARS
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

2023-2024 საანგარიშო პერიოდი

		2024	2023
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	11	1,095,090.7	2364172.5
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
ნეტო ამონაგები		1,095,090.7	2364172.5
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგი	12	780,576.7	1586268.5
შესყიდვა		2,212,239.5	1,653,384.09
გადამუშავების დანახარჯები		132,086.0	2,145,123.90
საბოლოო მარაგი		1,563,748.8	2,212,239.49
საერთო მოგება		314,514.0	777,904.01
სხვა შემოსავალი	13		415.7
არასაოპერაციო შემოსავალი		144.8	
დასაქმებულთა ანაზღაურება		(80,937.5)	(93,418.41)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7,009.6)	(6,509.3)
საპროცენტო ხარჯი	14	(32,017.1)	(38,181.1)
საიჯარო ხარჯი		(82,240.7)	(78,932.2)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(27,416.8)	(33,383.3)
კურსთაშორის სხვაობიდან	15	15,985.9	9462.7
სულ საოპერაციო ხარჯები		(213,491)	(240,546)
საოპერაციო მოგება		101,023.1	537358.0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		101,023.1	537358.0
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,862,540.3	1792119.3
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(431,129.4)	(203,630.8)
სხვა ცვლილებები			(263,306.2)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,532,434.0	1862540.3

შპს BEST CARS

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საანგარიშო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2024	2023	2022
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	83,600.9	31961.6	313518.2
სავაჭრო მოთხოვნები	2	10,133.8	12926.3	8638.8
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	112,774.7	117183.5	124600.1
მარაგები	4	1,563,748.8	2212239.5	1653384.1
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	19,080.5	31484.4	13431.3
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,789,338.7	2405795.4	2113572.4
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	42,361.3	56,226.14	35703.6
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,361.3	56,226.1	35703.6
სულ აქტივები		1,831,700.0	2,462,021.5	2149276.1
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	293,726.3	595,913.3	357,156.8
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადი ვალდებულებები	8			
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
სხვა ვალდებულებები	9	5,540.0	3,568.1	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		299,266.3	599,481.40	357,157
სულ ვალდებულებები		299,266.3	599,481	357,157
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	10	273,250.1	273,250.1	536,556.3
		1,259,183.6	1,589,290.2	1,255,563.0
სულ საკუთარი კაპიტალი		1,532,433.7	1,862,540	1,792,119
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,831,700.0	2,462,021.8	2,149,276

Handwritten signature

შპს BEST CARS


ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

2023-2024 საანგარიშო პერიოდი

		2024	2023
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	11	1,095,090.7	2364172.5
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
ნეტო ამონაგები		1,095,090.7	2364172.5
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		780,576.7	1586268.5
საწყისი მარაგი	12	2,212,239.5	1,653,384.09
შესყიდვა		132,086.0	2,145,123.90
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგი		1,563,748.8	2,212,239.49
საერთო მოგება		314,514.0	777,904.01
სხვა შემოსავალი	13		415.7
არასაოპერაციო შემოსავალი		144.8	
დასაქმებულთა ანაზღაურება		(80,937.5)	(93,418.41)
ცვთა და ამორტიზაცია		(7,009.6)	(6,509.3)
საპროცენტო ხარჯი	14	(32,017.1)	(38,181.1)
საიჯარო ხარჯი		(82,240.7)	(78,932.2)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(27,416.8)	(33,383.3)
კურსთაშორის სხვაობიდან	15	15,985.9	9462.7
სულ საოპერაციო ხარჯები		(213,491)	(240,546)
საოპერაციო მოგება		101,023.1	537358.0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		101,023.1	537358.0
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,862,540.3	1792119.3
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(431,129.4)	(203,630.8)
სხვა ცვლილებები			(263,306.2)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,532,434.0	1862540.3



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

სალარო	4,199.3
ბანკი	79,401.6
ჯამი	83,600.9

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება საქონლის გაყიდვებით მისაღები თანხებისგან საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 10 133.8 ლარი.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

ამ მუხლში ძირითადად გაერთიანებულია წინაწარ გადახდილი თანხები კრედიტორებისთვის, რომელიც უკავშირდება მარაგების შესყიდვას.

4. მარაგები

მარაგები შედგება სარეალიზაციო მზა პროდუქციისგან.

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები.

ამ მუხლში შესულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული საგადასახადო აქტივი. რომელსაც ძირითადი ნაწილი ბიუჯეტში აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი თვის 15 რიცხვისთვის დეკლარაციების წარდგენისას.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ძირითადად შედგება სატრანსპორტო საშუალებებისგან, საოფისე ინვენტარისგან და ავეჯისგან.

დასახელება	31-12-23	შეძენა	გასვლა	ამორტიზაცია	31-12-24
მანქანა-დანადგარები	28			(12)	16
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	3,276			(919)	2,357
ავეჯი და სხვა ინვენტარი	29,209			(3,423)	25,786
სატრანსპორტო საშუალება	23,713		(6,855.2)	(2,656)	14,202
ჯამი	56,226			(7,010)	42,361

ვალდებულებები

7. გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება საფინანსო ინსტიტუტისგან მიღებული სესხებისგან.

8. ეს მუხლი მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ საგადასახადო ვალდებულებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ასეთი ვალდებულება არ გააჩნია.

9. სხვა ვალდებულებები მოიცავს კომპანიის ვალდებულებებს კომპანიის პერსონალის მიმართ.

10. ამ მუხლში შესულია კომპანიის კაპიტალისა და დაგროვილი მოგებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კაპიტალი - 273 250 ლრი

გაუნაწილებელი მოგება - 1 259 183 ლარი.

11. ამონაგები საქონლის გაყიდვებიდან. ამ მუხლში შესულია ძირითადი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები. მარაგების რეალიზაცია.

12. მარაგები. ამ მუხლში შესულია 2024 წლის ბოლოსთვის გასაყიდად არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგები.

13-15. ამ მუხლებში შესულია არასაოპერაციო შემოსავლები აგრეთვე კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავლები

17. ხარჯები

კომპანიის ძირითადი ხარჯები დაკავშირებულია იჯარის, ხელფასის და საპროცენტო ხარჯებისგან.

სხვა ხარჯები დაკავშირებულია ადმინისტრაციულ საქმიანობასთან.

რეკლამის მომსახურების ხარჯი	1,703.9
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	1,506.3
ინტერნეტის ხარჯი	2,655.0
ავტომობილის საექსპლუატაციო ხარჯი	1,479.8
კომპიუტერის საექსპლუატაციო ხარჯი	108.8
საბანკო ხარჯი	645.0
დაცვის ხარჯი	508.4
კომპიუტერის ხარჯი	80.0
საკონსულტაციო ხარჯი	18,115.2
სხვა საგადასახადო ხარჯი	516.8
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	97.5
ჯამი	27,416.8

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები